მშენებლობის ორგანიზების პროექტი

ქალაქი თბილისი, მინდორა ორჯონიკიძე – ტოროშელიძის III ჩიხი, №18–20
ს/კ 01.81.21.104.009

საპროექტო ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო სამუშაოები



დამკვეთი: ე.ს ამხანაგობა ივერთუბანი – 21
ID ნომერი: 202496600

შემსრულებელი: თორნიკე ქავთარაძე

თბილისი 2023 წ

განმარტებითი ბარათი

შესავალი

ქალაქ თბილისი, მინადორა ორჯონიკიძე – ტოლოშელიძის III ჩიხი, №18–20, ს/კ 01.81.21.104.009.

საპროექტო ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ორგანიზების პროექტი და გრაფიკი დამუშავებულია თორნიკე ქავთარაძის მიერ. მშენებელობის ორგანიზების პროექტის დამუშავებას საფუძვლად დაედო ე.ს ამხანაგობა ივერთუბანი – 21 – ის მიერ გაცემული ტექნიკური დავალება, რათა მომზადებულიყო ერთი ინდივიდულური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო სამუშაოები. მშენებლობის ორგანიზების პროექტი დამუშავებული იქნა არქიტექტურული, კონსტრუქციული და საინჟინრო-გეოლოგის შესწავლის და განხილვის საფუძველზე.

წინამდებარე სამუშაოთა ორგანიზების პროექტი დამუშავებულია ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმებით, წესებით და ტენიკურ-ნორმატიული კანონმდებლობის საფუძველზე.

სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია – ''ს6'' და ''წ'' მოთხოვნის თანახმად სამონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე აუცილებლად უნდა დამუშავდეს სამუშაოთა წარმოების პროექტი, აკრძალულია მშენებლობის დაწყება აღნიშნული დოკუმენტზე თანხმობის გარეშე.

სამონტაჟო სამუშაოების წარმოებაზე დამკვეთმა აუცილებლად უნდა განახორციელოს ტექნიკური ზედამხედველობა შესაბამისი უფლებამოსილი და გამოცდილების მქონე სუბიექტის მეშვეობიოთ.

სამშენებლო მოედნისა და სამონტაჟო ობიექტის დახასიათება

ქალაქ თბილისი, მინადორა ორჯონიკიძე – ტოროშელიძის III ჩიხი, №18–20, მიწის ნაკვეთი თავისუფალია და მზადაა სამშენებლო სამუშაოების დასაწყებად. სამშენებლო ტერიტორია მსუბუქად ქანობიანია, საპროექტო შენობა კი ისეა დაგეგმარებული რომ მაქსიმალურად მოერგოს რელიეფის დომინანტ და გზისპირა ნიშნულს. ადგილზე იგეგმება ერთი ორსართულიანი ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, ორივე მიწისზედა სართულით. შენობას ექნება ბრტყელი გადახურვა. საპროექტო საცხოვრებელი სახლის მშენებლობა განხორციელდება შემდეგი ტექნოლოგიით.

1) საძირკვლები – რკინაბეტონის კომბინირებული.

2) მზიდი კარკასი – რკინაბეტონის სივრცითი კარკასი ხისტი კვანძებით.

3) კედლების შემავსებელი – სამშენებლო ბეტონი ბლოკი.

4) ფასადი – ლესვა ქვიშა – ცემენტის ნარევით და ღებვა მაღალი ხარისხის საფასადე საღებავით, საფასადე დეკორატიული ფილები, ტრავენტინი.

სამშენებლო მოედანზე უნდა ჩაიხსნას ყველა სახის ქსელური კომუნიკაცია უსაფრთხოების წესების და ზედამხედველის დაკვირვებით დადგენილი ნორმების და კანონმდებლობის საფუძველზე, უსაფრთხოების წესების მაქსიმალური დაცვით.

სიტუაციური რუკა



სამშენებლო მოედნის ორგანიზება და მოსამზადებელი სამუშაოების აღწერა

სამშენებლო მიწიწს ნაკვეთი წარმოადგენს ვახტანგ ხოჭოლავას საკუთრებაში არებულ ტერიტორიას, პროექტის განსახორციელებლად საჭიროა მიწის სამუშაოების ჩატარება.
სამუშაოები ციკლი იწყება ტერიტორიაზე სამუშაოთა მწარმოებლის ოთახის და მუშა – პერსონალის გასახდელის მოწყობით. ტერიტორიაზე არ ფიქსირდება საინჟინრო კომუნიკაციები, შესაბამისად მოეწყობა დროებითი გადამყავნები შემდეგ კი დაერთდება ნაკვეთთან არსებულ კომუნიკაციებთან.

მოედანზე უცხო პირთა და იმ მუშა – პერსონალის დაშვება, რომლებიც არ არიან ჩართულნი სამონტაჟო – სამშენებლო სამუშაოებშია აკრძალულია, მოედანზე უნდა მოეწყოს სამშენებლო მასალათა დასაწყობებებისათვის განკუთვნილი ლოკაცია, რომელიც უნდა შეიზღუდოს სასიგნალო ლენტების საშუალებით, ღობეზე და ტერიტორიაზე გაიკრას გამაფრთხილებელი, საინფორმაციო და ამკრძალავი ბანერები.

ობიექტის საინჟინროდ მომზადება და მითითებები სამონტაჟო სამუშაოთა წარმათვაზე

მიიღებს თუ არა დამკვეთისგან დამტკიცებული საპროექტო დოკუმენტაცია, სამშენებლო ორგანიზაცია ობიექტს აწარმოებს / ამუშავებს სამუშაოთა წარმოების პროექტის მიხედვით, მშენებლობის ორგანიზაციის პროექტში მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად. მშენებლობა უნდა განხორციელდეს საავტორო და ტექნიკური ზედამხედველობის ქვეშ.
ფარული სამუშაოების მიღება შესაბამისი უფლებამოსილი პირების კონტროლის ქვეშ, დადგენილი წესით აუცილებელია. სამუშაოთა დაწყება დაიშვება საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე.

მოსამზადებელი სამუშაოების ციკლი იწყება სამშენებელო მოედნის მოწყობით:

1) ტერიტორიაზე შესასვლელში შესაბამისი გამაფრთხილებელი, საინფორმაციო და ამკრძალავი ბანერის გაკვრა: სამუშაოთა მწარმოებლის დროებითი შენობის მონტაჟი, სამშენებლო მასალის დასაწყობება ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიების გატარებით.

2) ნაკვეთზე გადის დაბალი წნევის გაზსადენი მილი, რომლის გადატანაც ხდება დროებით რათა არ შეუშალოს მშენებლობის პროცესს ხელი, მიწის ნაკვეთზე როგორც ელექტროენერგია ასევე წყალია და არ არის საჭირო დროებითი შეყვანა, ადგილზევე მოეწყობა ყველასათვის საკომუნიკაციო საშუალება.

3) საპროექტო შენობის გეოდეზიური დაკვალვა
ძირითადი სამშენებლო ითვალისწინებს შედგომ მუშა – პროცესს. კერძოდ
1) მიწის სამუშაოები (ქვაბულის მოწყობა).
2) რკინაბეტონის სამუშაოები – შენობის ფუძე – საძირკვლების და ძირითადი კარკასის მოწყობა.
3) არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა, საინჟინრო კომუნიკაციების მონტაჟი.
4) სახურავის მოწყობა, შენობის კედლების შევსება – შეფუთვა შიდა და გარე სარემონტო სამუშაოები
5) ტერიტორიის კეთილმოწყობა, სამშენებლო მასლების გატანა.

ტერიტორიის გასუფთავება და მომზადება ექსპლუატაციაში ჩაბარებისთვის

სამშენებელო – სამონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობა

სამუშაოების ხანგრძლივობისა და სამშენებლო სამუშაოების წარმართვის თვალსაზრისით ობიექტი მოცულობით და კონსტრუქციული გადაწყვეტით სირთულის მიხედვით სამუშაოები მარტივ კატეგორიას განეკუთვნება.
სამონტაჟო სამუშაოების ხანგრძლივობის ვადებისა და მისი განხორციელების ცალკეული პერიოდების დასადგენად ხელმძღვანელობენ სნ. და წ. 1.04.03-85 ''მშენებლობის ხანგრძლივობის განსაზღვრა'' კალენდარული გეგმით გათვალისწინებული ფინანსური უზრუნველყოფისა და შესაძლებლობის საფუძველზე.

სამუშაოების განხორციელების გეგმური ხანგრძლივობა აღნიშნული ნორმების გათვალისწინებით, ასევე რეალური სიტუაციის შესწავლის საფუძველზე დადგინდა 24 თვის პერიოდით. მისი დაცვა შესაძლებელი იქნება უწყვეტი ფინანსირების პირობებში, რასაც რა თქმა უნდა ხელი უნდა შეუწყოს რბილმა და ზომიერმა კლიმატურმა პირობებმა.

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობა

მოცემული სამშენებლო სამუშაოები იყოფა ორ რიგად

I რიგის სამუშაოები

მოსამზადებელი სამუშაოები
მოსამზადებელი სამუშაოების ციკლი იწყება – სამშენებლო მოედნის მოწესრიგებით და სრულდება მიწის ნაკვეთის მშენებლობისათვის მომზადებით.
სამშენებლო სამუშაოების პროცესის წარმოების რიგითობის მიხედვით სამონტაჟო ობიექტზე განისაზღვრა შემდეგი სამშენებლო ეტაპები:

ეტაპი №1 – მოსამზადებელი სამუშაოები, რომლებიც დაკავშირებულია სამშენებლო მოედნის უსაფრთხოებასთან, არსებული ნაგვის მოცილებასთან, შესანარჩუნებელი მწვანე ნარგავების დაცვასა (არსებობის შემთხვევაში) და მიწისქვეშა საინჟინრო კომუნიკაციების გადატანასთან.

ეტაპი №2 – შენობა-ნაგებობის გრუნტის შეცვლილი ზედაპირზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება, ამის შემდეგ კი განხორციელდეს შენობის გარე კონტურისა და ძირითადი კონსტრუქციული ელემენტების გრუნტზე სათანადო წესით ფიქსაცია.

II რიგის სამუშაოები:

ეტაპი №3 – მოსამზადებელი სამუშაოები, ფუძის მოწყობა, საძირკვლის მოწყობა, ძირითადი სისტემის მოწყობა ნულოვან ნიშნულამდე. ძირითადი კარკასის მონტაჟი.

ეტაპი №4 – არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა. შენობის გადახურვის მოწყობა. შენობის ლოკალური საერთო საინჟინრო ქსელების მონტაჟი. შიდა და გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოების დასრულება: ტერიტორიის კეთილმოწყობა. ნარჩენების გატანა. შენობის ექსპლუატაციაში მისაღებად მომზადება.

სულ დადგინდა ოთხი ერთეული ეტაპი – ხანგრძლივობით 18 თვე

სამუშაოები უნდა წარიმართოს კალენდარული გეგმის მიხედვით.
ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი ფარული სამუშაოების დასრულება მოხდება შესაბამისი აქტის შედგენით, საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს ფარული სამუშაოების ფოტოფიქსაცია. აქტებზე ხელმომწერი მხარეები – დამკვეთი, მენარდე, ობიექტზე მიმაგრებული დამოუკიდებელი ზედამხედველი სუბიექტი; მიწის სამუშაოებზე აუცილებელია ინჟინერ – გეოლოგის დასწრება და აქტებზე ხელმოწერის დაფიქსირება.

ა) მოცემულ მშენებლობაზე ფარული სამუშაოების აქტები შედგეს შემდეგ ფარულ სამუშაოებზე;
– მოედანზე გეოდეზიური დაკვალვა.

– მიწის სამუშაოების დასრულება.

– საძირკვლის ქვაბულის მოშანდაკება.

– საძირკვლის კონსტრუქციების არმირება და დაბეტონება.

– საძირკვლის ჰიდროიზოლაცია.

– ყოველ საპროექტო ნიშნულზე – სვეტების, სართულშუა გადახურვის ფილებისა და რიგელების, მათი კვანძების, კონსტრუქციების არმირების დასრულებაზე მათ დაბეტონებამდე.
ბ) მშენებლობის პროცესში სავალდებულოა ტიპიური ფორმების მიხედვით შედგეს სამუშაოთა წარმოების ჟურნალი, სადაც აისახება ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ეტაპობრივი ქმედება; ასევე უსაფრთხოებისა და ტექნიკური ზედამხედველობის ჟურნალები.

უსაფრთხოების ტექნიკა

ობიექტზე გამოყოფილი უნდა იყოს უსაფრთხოების ინჟინერი
1. უცხო პირთა, აგრეთვე სამონტაჟო ოპერაციებში დაუსაქმებელი მუშა – მომსახურეთა ყოფნა სამშენებლო მოედანზე დაუშვებელია.

2. მუშა – მომსახურე პერსონალს უნდა ჩაუტარდეს ინსტრუქტაჟი მშენებლობაზე უსაფრთხოების ტექნიკის, სიმაღლეზე მუშაობის ტექნიკური რეგლამენტის მიხედვით სამუშაოების ჩატარების უზრუნველყოფის საკითხებზე, პერიოდულად უნდა ჩატარდეს გამოცდაც.

3. სამუშაოთა წარმოების უზრუნველყოფისათვის და ტექნოლოგიების უზრუნველსაყოფად ასევე აუცილებელია მშენებლობის აღჭურვა განმარტებით ბარათში მოცემული ცხრილის მიხედვით, მანქანა-მექანიზმებით, ინსტრუმენტებით და დანადგარებით.

4. მომუშავეთა შორის უსაფრთხოების ღონისძიებები უნდა იყოს დაცული სამშენებლო სამუშაოთა წარმოების ყველა ეტაპზე, თანახმად ''სნ'' და ''წ. III – 4 – 80'' და სხვა ნორმატიულ –საკანონმდებლო დოკუმენტების მითითებების შესაბამისობით. მათგან ყურადღება მახვილდება შემდეგზე:

5. სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებით.

6. ადვილად აალებადი სამღებრო, საიზოლაციო და სხვა მასალების აგრეთვე მომწამლავი ნივთიერებების (არსებობის შემთხვევაში) დღიური რაოდენობა სამუშაოთა წარმოების ზონაში არ უნდა აღეამატებოდეს იმავე დღიური რაოდენობის მოთხოვნილებების შესაბამისობას.

7. მასალებისა და ნაკეთობების დასაწყობება უნდა მოხდეს მათზე ტექნოლოგიურ პირობათა გათვალისწინებით. ამავე დროს ისინი უნდა დაეწყოს მოსწორებულ ადგილზე, რომ მათი მოცურება არ მოხდეს.

8. ელექტორო უსაფრთხოების წესები ჩამოყალიბებულია სახსტანდარტში 12.1.0.13-88. ელექტრო კარადა უნდა იყოს ჩართული ჩაკეტილ მდგომარეობაში. გაშიშვლებული სადენების გამოყენება აკრძალულია.

9. იკრძალება ბეტონის ვიბრატორის და სხვა ელექტრო ელექტრო მოწყობილობების ადგილიდან ადგილზე გადატანა – გამორთვის გარეშე.

რეკომენდირებული სამშენებლო მანქანა-დანადგარები, მექნიზმები და ინსტრუმენტები

მშენებლობის ნორმების უწყვეტი რითმისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მისი აღჭურვა, თანამედროვე ტექნოლოგიური სამუშაოებით ან მათი ალტერნატიული ვარიანტებით.
მათი რეკომენდირებული ჩამონათვალი კი მოცემულია ცხრილში.

№	დასახელება	მარკა	რაოდენობა
1	მცირე ჩამჩის მოცულობიანი ექსკავატორი ბულდოზერის ფარით	უცხოური წარმოების	1
2	ავტო ტვირთმცლელი სპეც ავტოტრანსპორტი სამშენებლო მასალების შემოსატანად	უცხოური წარმოების	2
3	ავტოამწე (მობილური) მასალის გადმოსატვირთად და დასაწყობებლად	უცხოური წარმოების	1
4	ზედაპირული ვიბრატორი	C-697	1
5	ე.წ ბობკადი	უცხოური წარმოების	1
6	ავტობეტონმრევი მიქსერი	B-5	1
7	გასატანი კომპრესორი	CO-45	1
8	შესადუღებელი კომპრესორი	CO-48	1
9	ცემენტის ფენის მოსასწორებელი აგრეგატი	CO-89	1
10	შესალესი მოსასწორებელი აგრეგატი	CO-54	2
11	სამშენებლო საწევსელა თვითწარმოებით 300კგ ტვირთის აწევით სიმაღლეზე 30მ	TP-5	1
12	მეტალის მჭრელი აგრეგატი	უცხოური წარმოების	1
13	ავტოგენური შედუღების აპარატი	კომპრ.	1
14	სამღებრო სადგური		2









სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა

NCH URBAN SOLUTION

საკონტაქტო ინფორმაცია:
ქ.თბილისი, ვ. ბარნოვის 70
NCH.Urbansolution@gmail.com

დირექტორი:
ნ. ჭალაგანიძე

პროექტის მთავარი არქიტექტორი:
გიორგი დათუკიშვილი

დაამუშავა:
თამარ ხუციშვილი

ინფორმაცია პროექტის შესახებ:
პროექტის დასახელება:
ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი

მისამართი: ქ.თბილისი, მინადორა ორჯონიკიძე – ტოროშელიძეს III ჩიხი, №18–20
საკადასტრო კოდი: 01.81.21.104/009

დამკვეთი: ე.ს. ამხანაგობა ივერთუბანი – 21 ID ნომერი: 202496600

ნახაზის დასახელება:
ფოტოფიქსაცია

მასშტაბი:

პირობითი აღნიშვნები:

საპროექტო ნიშნული **±0.00** შეესაბამება აბსოლიტურ ნიშნულს ტოპოზე 596.0

ფურცლის ნომერი: **A3**

2023 წელი

ექსპლიკაცია

1 საპროექტო 2 სართულიანი
2 ბეტონის ტუმბო
3 დაცვის ჯიხური
4 დროებითი სასაწყობო მოედანი
– დროებითი საარმატურო
– დროებითი საყალიბე
5 დროებითი ნაგებობა (დასაშლელ-ასაწყობი)
– სამუშაოთა მწარმოებლის "ოთახი" /კონტ. ტიპის/
– დროებითი კვების "ოთახი" /კონტ. ტიპის/
– ბიო ტუალეტი
– დროებითი საგარდერობო
– დროებითი დახურული საწყობი
6 სამშენებლო ღობე
7 დროებითი ჭიშკარი
8 სამშენებლო ავტოტრანსპორტი



NCH URBAN SOLUTION

საკონტაქტო ინფორმაცია:
ქ.თბილისი, 3. ბარნოვის 70
NCH.Urbansolution@gmail.com

დირექტორი:
ნ. ჭალაბანიძე

პროექტის მთავარი არქიტექტორი:
ბიორგი დათუკიშვილი

დაამუშავა:
თამარ ხუსიშვილი

ინფორმაცია პროექტის შესახებ:
პროექტის დასახელება:
ინდივიდუალური ერთბინიანი სასხოვრებელი სახლი

მისამართი: ქ.თბილისი, მინადორა ორჯონიკიძე – ტორიშელიძეს III ჩიხი, №18–20
საკადასტრო კოდი: 01.81.21.104/009

დამკვეთი: ე.ს. ამხანაგობა ივერთუბანი – 21 ID ნომერი: 202496600

ნახაზის დასახელება:
გენერალური გეგმა

მასშტაბი:
1:200

პირობითი აღნიშვნები:
- მოსაჭრელი ვაზი
- მოსაჭრელი ხე
- მოსაჭრელი ბუჩქი
- დასატოვებელი ვაზი
- დასატოვებელი ხე
- დასატოვებელი ბუჩქი
- გადასარგავი ხე (გადარგვებია საპროექტო მიწის ნაკვეთზვე, უკანა ეზოში)

საპროექტო ნიშნული ±0.00 შეესაბამება აბსოლიტურ ნიშნულს ტოპოზე 596.0

ფურცლის ნომერი: **A3**

2023 წელი

სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოების წარმოების კალენდალური გრაფიკი

საპროექტო ობიექტი მდებარეობს ქ.თბილისში საკადასტრო კოდით 01.81.21.104.009
მშენებლობის ორგანიზებიის პროექტი დამუშავებულია სამშენებლო ნორმების და წესების მიხედვით.
საპროექტო შენობა წარმოადგენს ერთბინიან ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლს.
აღნიშნული სამუშაოების საწარმოოდ საჭიროა 18 თვე

რაოდენობა	სამშენებლო სამუშაოების დასახელება და ჩამონათვალი	I თვე		II თვე		III თვე		IV თვე		V თვე		VI თვე		VII თვე		VIII თვე		IX თვე		X თვე		XI თვე		XII თვე	
		15	30	15	30	15	30	15	30	15	30	15	30	15	30	15	30	15	30	15	30	15	30	15	30
	I რიგის სამუშაოები																								
1	მოსამზადებელი სამუშაოები, რომლებიც დაკავშირებულია სამშენებლო მოედნის უსაფრთხოებასთან, არსებული ნაგვის მოცილებასთან, შესანარჩუნებელი მწვანე ნარგავების დაცვასა (არსებობის შემთხვევაში) და მიწისქვეშა საინჟინრო კომუნიკაციების გადატანასთან																								
2	შენობა-ნაგებობის გრუნტის შეცვლილი ზედაპირზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება, ამის შემდეგ კი განხორციელდეს შენობის გარე კონტურისა და ძირითადი კონსტრუქციული ელემენტების გრუნტზე სათანადო წესით ფიქსაცია.																								
	II რიგის სამუშაოები																								
3	მოსამზადებელი სამუშოები, ფუძის მოწყობა,საძირკვლის მოწყობა, ძირითადი სისტემის მოწყობა ნულოვან ნიშნულამდე. ძირითადი კარკასის მონტაჟი.																								
4	არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა. შენობის გადახურვის მოწყობა. შენობის ლოკალური საართო საინჟინრო ქსელების მონტაჟი. შიდა და გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოების დასრულება: ტერიტორიის კეთილმოწყობა. ნარჩენების გატანა. შენობის ექსპლუატაციაში მისაღებად მომზადება.																								

რაოდენობა	სამშენებლო სამუშოების დასახელება და ჩამონათვალი	XIII თვე		XIV თვე		XV თვე		XVI თვე		XVII თვე		XVIII თვე	
		15	30	15	30	15	30	15	30	15	30	15	30
	I რიგის სამუშაოები												
1	მოსამზადებელი სამუშაოები, რომლებიც დაკავშირებულია სამშენებლო მოედნის უსაფრთხოებასთან, არსებული ნაგვის მოცილებასთან, შესანარჩუნებელი მწვანე ნარგავების დაცვასა (არსებობის შემთხვევაში) და მიწისქვეშა საინჟინრო კომუნიკაციების გადატანასთან												
2	შენობა-ნაგებობის გრუნტის შეცვლილი ზედაპირზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება, ამის შემდეგ კი განხორციელდეს შენობის გარე კონტურისა და ძირითადი კონსტრუქციული ელემენტების გრუნტზე სათანადო წესით ფიქსაცია.												
	II რიგის სამუშაოები												
3	მოსამზადებელი სამუშოები, ფუძის მოწყობა,საძირკვლის მოწყობა, ძირითადი სისტემის მოწყობა ნულოვან ნიშნულამდე. ძირითადი კარკასის მონტაჟი.												
4	არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა. შენობის გადახურვის მოწყობა. შენობის ლოკალური საართო საინჟინრო ქსელების მონტაჟი. შიდა და გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოების დასრულება: ტერიტორიის კეთილმოწყობა. ნარჩენების გატანა. შენობის ექსპლუატაციაში მისაღებად მომზადება.												

შემსრულებელი : თორნიკე ქავთარაძე

NCH URBAN SOLUTION

საკონტაქტო ინფორმაცია:
ქ.თბილისი, ვ. ბარნოვის 70
NCH.Urbansolution@gmail.com

დირექტორი:
ნ. ჭალაბანიძე

პროექტის მთავარი არქიტექტორი:
გიორგი დათუკიშვილი

დაამუშავა:
თამარ ხუციშვილი

ინფორმაცია პროექტის შესახებ:
პროექტის დასახელება:
ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი

მისამართი: ქ.თბილისი, მინადორა ორჯონიკიძე – ტოროშელიძეს III ჩიხი, №18–20
საკადასტრო კოდი: 01.81.21.104/009

დამკვეთი: ე.ს. ამხანაგობა ივერთუბანი – 21 ID ნომერი: 202496600

ნახაზის დასახელება:
მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკი

მასშტაბი:

პირობითი აღნიშვნები:

საპროექტო ნიშნული **±0.00** შეესაბამება აბსოლიტურ ნიშნულს ტოპოზე 596.0

ფურცლის ნომერი: **A3**

2023 წელი